

**საღმისანვდომი ჯანდაცვა საქართველოს ოკუპირებულ
ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისათვის:**

მიღწევები და გამოწვევები

**AFFORDABLE HEALTH CARE FOR
RESIDENTS OF GEORGIA'S OCCUPIED TERRITORIES:
ACHIEVEMENTS AND CHALLENGES**

კვლევის ავტორები:

მედია ტურაშვილი
ელიკო ბენდელიანი

Authors of the study:

MEDEA TURASHVILI
ELIKO BENDELIANI

ბროშურის შინაარსზე მთლიანად პასუხისმგებელია ავტორთა გუნდი. ის, შესაძლოა, არ გამოხატავდეს USAID-ის, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ან EWMI-ის შეხედულებებს.

The content is the responsibility of the authors and do not necessarily reflects the view of USAID, the United States Government, or EWMI.

კვლევა მომზადდა კავკასიური სახლის მიერ აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) პროგრამის – „საქართველოში საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება“ (G-PAC) - ფარგლებში.

კვლევის ჩატარება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულისხმიერი მხარდაჭერის შედეგად, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.



USAID | **GEORGIA**
FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE

Policy, Advocacy, and Civil Society Development in Georgia (G-PAC)

საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი.....	5
რეფერალური პროგრამის მიმოხილვა და თანმდევნი პრობლემები.....	6
ა. პროგრამის მოკლე აღწერა.....	6
ბ. რეფერალური პროგრამის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული პრობლემები.....	7
წარმატებული მაგალითები.....	8
ა. მედი-ქლაბ ჯორჯიას მოდელი:.....	8
ბ. სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის მოდელი.....	8
გ. არასამთავრობო სექტორის მოდელი.....	9
ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების პრობლემა.....	9
დასკვნა და რეკომენდაციები.....	10

შესავალი

საქართველოში მომხდარი შიდა კონფლიქტების შედეგად აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთის რეგიონი თითქმის დაიცალა ეთნიკურად ქართველი მოსახლეობისაგან. ჩაკეტილი საზღვრების პირობებში კი განყდა ნათესაური და მეგობრული კავშირები. მრავალი მცდელობის მიუხედავად, ომით დაშორებულ საზოგადოებებს შორის უნდობლობა და გაუცხოება კონფლიქტის გადაუჭრელობის ერთ-ერთ მიზეზად იქცა.

ნდობის აღდგენისა და ხალხთა შორის ურთიერთობების ნახალისების მიზნით, 2010 წელს საქართველოს ხელისუფლებამ შეიმუშავა სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ¹, რომლის ყველაზე წარმატებული ნაწილიც ჯანდაცვის სფერო აღმოჩნდა.

სტრატეგიის ფარგლებში, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოქალაქეებს შესაძლებლობა მიეცათ, ესარგებლათ „რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამით“ (შემდგომ რეფერალური პროგრამა), რის საფუძველზეც სახელმწიფო დაფარავდა მათი მკურნალობის ხარჯებს. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში საქართველოს მთავრობის №331 დადგენილებით, 2010 წლიდან მუშაობა დაიწყო უწყებათაშორისმა კომისიამ², რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს დაფინანსების შესახებ შემოსული განცხადებები და მიიღოს დადებითი ან უარყოფითი გადაწყვეტილება.

ოფიციალური მონაცემებით, 2012 წელს უფასო სამედიცინო მომსახურებით ისარგებლა ოკუპირებული რეგიონების ორი ათასზე მეტმა მოსახლემ, რომელთა დაფინანსებამ დაახლოებით ორი მილიონი ლარი შეადგინა³.

¹ სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ. ჩართულობა თანამშრომლობის გზით. იხილეთ: [http://www.government.gov.ge/files/224_31227_132584_SMR-Strategy-ge\(1\).pdf](http://www.government.gov.ge/files/224_31227_132584_SMR-Strategy-ge(1).pdf)

² მის შემადგენლობაში შედის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები; თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი; შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი; რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენელი; ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს წარმომადგენელი; მთავრობის კანცელარიის წარმომადგენელი; იუსტიციის სამინისტროს სსიპ-ების – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს წარმომადგენლები.

³ რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის, ქ-ნი ეკა ტყეშელაშვილის განცხადება. 24.10.2012. <http://www.smr.gov.ge/index.php?opt=2&no=329#sthash.SCjAfYLa.dpuf>

ამ პროგრამის წარმატება მეტწილად აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ჯანდაცვის სექტორის მძიმე მდგომარეობამ განაპირობა. მართალია, ეს სფერო ძირითადად რუსეთის ფედერაციის მიერ გამოყოფილ სუბსიდიებზეა დამოკიდებული⁴, მაგრამ მრავალი სერიოზული პრობლემა გადაუჭრელი რჩება: საავადმყოფოების დიდი ნაწილი გაურემონტებელია; არ არის თანამედროვე აპარატურა, რაც ექიმებს სწორი დიაგნოსტიკისა და შესაბამისი მკურნალობის განხორციელების შესაძლებლობას მისცემდა; მწვავედ დგას კადრების პრობლემა, განსაკუთრებით ვიწრო სპეციალიზაციის მიმართულებით (ინფექციონისტიები, პედიატრები, ნეიროქირურგები და ა. შ.). ოფიციალური მონაცემებით, აფხაზეთში სულ 600-მდე ექიმი, რაც მოთხოვნის მხოლოდ 60% აკმაყოფილებს⁵. სამხრეთ ოსეთში, ხშირად, უბრალო ტკივილგამაყუჩებლის შოვნაც კი პრობლემაა. არსებული მძიმე მდგომარეობის გამო მოსახლეობას რუსეთში უწევს მკურნალობა, რაც დიდ თანხებთან არის დაკავშირებული.

წლებია, საქართველოს ხელისუფლება, ჯანდაცვის სფეროში, განსაკუთრებით კი ინფექციური დაავადებების, შიდსისა და ტუბერკულოზის მიმართულებით, აქტიურად თანამშრომლობს დე ფაქტო ხელისუფლებებთან. თბილისის აფინანსებს გალის რაიონში არსებულ სამედიცინო დაწესებულებებს.

რეფერალურ პროგრამა მნიშვნელოვანი ჰუმანიტარული ნაბიჯია, რომლის საშუალებითაც საქართველოს ხელისუფლება იღებს ვალდებულებას დაიცვას და უზრუნველყოს მისი მოქალაქეების სიცოცხლე და ჯანმრთელობა. თუმცა, რეფერალურმა პროგრამამ განსაკუთრებული როლი შეასრულა ნდობის აღდგენის კუთხითაც. 2010 წლამდე საქართველოს ხელისუფლების მიერ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში განხორციელებული სამედიცინო ინიციატივები იქაური მოსახლეობისათვის ცნობილი არ იყო. ახლა, წარმატებული შემთხვევების წყალობით, ინფორმაცია საქართველოს ჯანდაცვის სისტემისა და პროგრამის შესახებ სწრაფად გავრცელ-

⁴ გარემონტდა რამდენიმე საავადმყოფო. რუსეთის ფედერაციის ექიმებისგან დაკომპლექტებული ჯგუფები პერიოდულად ჩადიან ოკუპირებულ ტერიტორიებზე და უფასო და საყოველთაო გამოკვლევებს ატარებენ. მაგალითად, 2012 წელს ისინი 3 თვის განმავლობაში იმყოფებოდნენ აფხაზეთში, მათ მოიარეს ყველა რაიონი, სადაც, ოფიციალური მონაცემებით, 22 ათასამდე ადამიანს ჩაუტარდა კლინიკური გამოკვლევა. „Зураб Маршан: «Мы стремимся создать систему, удобную и для врача, и для пациента», Российское агентство медико-социальной информации «АМИ», 20.11.2012.

⁵ В парламенте обсуждали состояние системы здравоохранения. Апсныпрес. 16.06.2010.

და, ძირითადად, პირადი კონტაქტების მეშვეობით. შედეგად, ბევრი აფხაზი და ოსი ჩამოვიდა საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე და, სამედიცინო მომსახურების მიღების გარდა, აღადგინეს კავშირები ნათესავებსა და მეგობრებთან, გაიჩინეს ახალი ნაცნობები და უკეთ გაეცნენ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს.

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ქართველ ექიმებს განსაკუთრებით გაუვარდათ სახელი და მათ მიმართ ნდობა გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქეების საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლას მრავალი რისკი ახლავს თან, მაინც ყველა შესაძლო გზას მიმართავენ, რომ საქართველოს კლინიკებში იმკურნალონ. როგორც ერთ-ერთმა აფხაზმა პაციენტმა აღნიშნა, „საკვირველია, რომ მიუხედავად იმისა და იმ უნდობლობისა, რაც ჩვენ საზოგადოებებს შორის არსებობს, ხალხი ქართველ ექიმებს ენდობა. რა დიაგნოზიც არ უნდა დაგვისვან ადგილობრივმა და რუსმა ექიმებმა, მაინც აქეთ მოვისწრაფით. აქ რასაც გვეტყვიან ამაში ეჭვიც არ გვეპარება. საოცარია ხალხისა და ექიმების დამოკიდებულებაც ჩვენ მიმართ, იმდენად თბილი და ყურადღებიანები არიან, არ შეიძლება არ დაინახო. 100% კმაყოფილი ვბრუნდები, მონაყოლი და გაგებული ბევრი მქონდა, მაგრამ ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა“⁶.

სწორედ ამ წარმატებამ შეაშფოთა დე ფაქტო ხელისუფლებები. ისინი უკვე აღარ გასცემენ ნებართვას სამკურნალოდ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსასვლელად⁷. აფხაზეთში დამატებით გამოიყო ფინანსები პაციენტების რუსეთში მკურნალობის დასაფინანსებლად⁸. შედეგად, 2013 წელს იკლო აფხაზეთიდან გადმოსულ ავადმყოფთა რაოდენობამ. 2013 წლის პირველ ოთხ თვეში მათი რიცხვი მხოლოდ 64-ია⁹.

⁶ ავტორების ინტერვიუ.

⁷ გამყოფ ხაზს მიღმა მცხოვრები ადამიანებისათვის დღითი დღე უფრო რთული ხდება მიმოსვლა. გადმოსასვლელად, მოქალაქეები დე ფაქტო უშიშროების სამსახურს მიმართავენ საშვისათვის, სადაც ყველა წვრილმანს კითხულობენ, მათ შორის, რას აკეთებდნენ მშობლები ომის დროს, არიან თუ არა მეზობლები თანახმა, რომ წავიდეს საქართველოში და ა.შ. გადმოსვლის მიზეზს ძირითადად ნათესავების მონახულებას ასახელებენ. როგორც აფხაზი პაციენტები აღნიშნავენ, ბოლო პერიოდში კატეგორიულად არ შეიძლება იმის დაფიქსირება, რომ სამკურნალოდ გადმოდან. ხშირია საშვებზე უარი, რის გამოც პაციენტებს ადმინისტრაციული საზღვრის გამშვები პუნქტების გვერდის ავლით, შემოვლითი გზებით უწევთ გადმოსვლა.

⁸ Леонид Лакербая: В стране есть проблемы, но не следует все представлять в негативном свете, Апсныпресс, 20.12.2012.

⁹ ავტორების ინტერვიუ.

უდავოა, რეფერალური პროგრამის ეფექტურად განხორციელება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მოსახლეობის ჯანმრთელობის, არამედ კონფლიქტებით დაპირისპირებულ საზოგადოებას შორის ურთიერთობის აღდგენისათვის. თუმცა, პაციენტების კლების მიზეზი შესაძლოა ის მნიშვნელოვანი ხარვეზები იყოს, რომელიც პროგრამის განხორციელების პროცესში იკვეთება. კვლევის ავტორები თავად შეეჯახნენ ამ ხარვეზებს და ამ დოკუმენტის მიზანიც პრობლემების დროული გამოვლენა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებაა, რათა პაციენტთა კლების პროცესმა შეუქცევადი ხასიათი არ მიიღოს და უარყოფითი გავლენა არ მოახდინოს ნდობის აღდგენის პროცესზე.

რეფერალური პროგრამის მიმოხილვა და თანმდევნი პრობლემები

ა. პროგრამის მოკლე აღწერა

რეფერალური პროგრამის უწყებათაშორისი კომისიის შექმნისას განისაზღვრა დაფინანსების გაცემის პირობები და ის კრიტერიუმები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს პირი, რათა გახდეს პროგრამით მოსარგებლე¹⁰:

- პაციენტი არ უნდა მონაწილეობდეს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ სხვა სოციალურ პროგრამაში. შესაბამისად, რეფერალური პროგრამა არ ვრცელდება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ იმ პირებზე, რომლებსაც საქართველოს მოქალაქეობა აქვთ, რადგან ისინი მონაწილეობენ სხვადასხვა სოციალურ პროგრამებში (მაგალითად, საყოველთაო დაზღვევის პროგრამა, იძულებით გადაადგილებულ პირთა სტატუსი და მასთან დაკავშირებული შემწეობა და ა.შ.);

- პაციენტმა უნდა წარმოადგინოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე ცხოვრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (შესაბამისად, აფხაზური და ოსური პასპორტი გამოიყენება, როგორც საიდენტიფიკაციო დოკუმენტი);

- პაციენტმა ან თანმხლებმა პირმა განცხადებით უნდა მიმართოს რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს, რომე-

¹⁰ საქართველოს მთავრობის დადგენილება №331, იხილეთ: https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldms-search&view=docView&id=1088054, ავტორთა ინტერვიუები სამინისტროების წარმომადგენლებთან.

ლიც შუამდგომლობას უწევს უწყებათაშორის კომისიასთან. განცხადებას თან უნდა ერთოდეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა 100) და სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანგარიშფაქტურა, კალკულაცია;

- უწყებათაშორისი კომისია დაახლოებით ერთი თვის ვადაში განიხილავს წარდგენილ დოკუმენტაციას და განსაზღვრავს დაფინანსების მიზანშეწონილობას. გადაუდებელი სამედიცინო დახმარების საჭიროების შემთხვევაში კი, ხდება დაჩქარებული წესით გადაწყვეტილების მიღება და დროული დახმარება;

- კომისია, დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, სიტყვიერად აცნობებს ან საგარანტიო ფურცელს უგზავნის პაციენტს და შესაბამის კლინიკას.

გამომდინარე იქიდან, რომ აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან ჩამოსული პაციენტები არ ფლობენ ქართულ ენას და არ იცნობენ შესაბამის წესებს, დამოუკიდებლად ვერ ახერხებენ

ზემოთ ჩამოთვლილი პროცედურის გავლას. აუცილებელი ხდება შუამავალი სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის, რისთვისაც ისინი, პირადი კონტაქტების მეშვეობით, მიმართავენ ან არასამთავრობო ორგანიზაციებს, ან ნათესავებს/მეგობრებს, რომლებიც ეხმარებიან საჭირო პროცედურების გავლაში.

ბ. რეფერალური პროგრამის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული პრობლემები

პაციენტები და მათი თანმხლები პირები, რომლებიც გადმოდიან აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვარს, რამდენიმე პრობლემას აწყდებიან:

უპირველეს ყოვლისა, ეს არის სათანადო ინფორმაციის ნაკლებობა. მართალია, პაციენტებმა იციან, რომ შესაძლებელია უფასოდ მკურნალობა, თუმცა არ იციან როგორ უნდა ჩაერთონ პროგრამაში, რა სათანადო დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ, რომელ სტრუქტურას უნდა მიმართონ და ა.შ.

ამასთანავე, ისინი არ იცნობენ ქართულ გარემოს. ენობრივი ბარიერის გამო უჭირთ ქალაქში მოძრაობა, ეშინიათ საზოგადოებრივი ტრანსპორტით მარტო გადაადგილების, ვერ ახერხებენ კონტაქტის დამყარებას საჯარო სტრუქტურებთან, კლინიკების ადმინისტრაც-

ციასა და უბრალო მოქალაქეებთან, არ იციან რომელ კლინიკას უნდა მიაკითხონ სათანადო მკურნალობისათვის და ა.შ.

პრობლემას ქმნის ისიც, რომ რეფერალური პროგრამით სარგებლობის დაწყება გეგმიური და ამბულატორიული პაციენტებისათვის დროში განელილი და ბიუროკრატიული პროცედურაა. კლინიკებიდან კალკულაციის წარმოდგენა, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატში განცხადების დაწერა და უწყებათაშორისი კომისიის მიერ გადაწყვეტილების გამოტანა ორი კვირიდან ერთ თვემდე იწელება. კლინიკების უმეტესობა კი ოფიციალური გარანტიის მიღებამდე არ იწყებს პაციენტის მკურნალობას.

დროის ფაქტორის გამო თავს იჩენს საცხოვრებლის პრობლემა და გაუთვალისწინებელი ხარჯები. რეფერალურ პროგრამაში არ არის გათვალისწინებული საცხოვრებლით უზრუნველყოფა, რის გამოც პაციენტების უმრავლესობას ნათესავებთან დარჩენა უწევთ. მართალია, ეს, ერთი მხრივ, ხელს უწყობს ურთიერთობების აღდგენას, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, გარკვეულ უხერხულობასა და დისკომფორტსაც ქმნის, რადგან მასპინძელთა უმეტესობა იძულებით გადაადგილებული პირები არიან, კომპაქტურ ცენტრებში არასახარბიელო პირობებში ცხოვრობენ და სტუმარი მათთვის მძიმე ტვირთია. აღნიშნული მიზეზის გამო ხშირად პაციენტები მკურნალობის კურსის დაჩქარებას ითხოვენ. კვლევის დროს გამოვლინდა შემთხვევა, როდესაც ტყვარჩელიდან სამკურნალოდ ჩამოსულ დედა-შვილს ქუთაისის ვაგზალზე მოუწევდა ღამის გათევა, რომ არა შემთხვევითი ნაცნობი, რომელმაც ისინი დააბინავა.

ამასთან ერთად, ხშირად, კლინიკები არ არიან ინფორმირებული რეფერალური პროგრამის შესახებ და საჭირო ხდება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში ან რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატში იმ პირის ძებნა, ვინც სიტყვიერად გასცემს ბრძანებას, რომ საავადმყოფოს მიერ განეულ ხარჯს აანაზღაურებს სახელმწიფო.

ამ პრობლემებიდან გამომდინარე, პაციენტებისათვის პროგრამაში მონაწილეობის მიღება პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა შუამავალი ორგანიზაციებისა და საქართველოში მცხოვრები ნათესავებისა თუ მეგობრების დახმარების გარეშე. რამდენიმე არასამთავრობო

ორგანიზაცია ახორციელებს ჯანდაცვის პროექტებს, რომელთა მიზანია აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან ჩამოსული პაციენტების დახმარება-დაკვალიანება. ეს პროექტები საერთაშორისო დონორების მიერ ფინანსდება და, შესაბამისად, არსებობს ფინანსური რესურსი პაციენტების ტრანსპორტირების, დაბინავების და სამედიცინო კვლევებისათვის.

თუმცა, სერიოზულ პრობლემებს აწყდებიან ის პირები, რომლებიც ინდივიდუალურად ეხმარებიან აფხაზ პაციენტებს (მეგობრებს, ნათესავებს ან სულაც უცნობ ადამიანებს). ისინი თავის თავზე იღებენ ფორმალური მხარის მოგვარების პასუხისმგებლობას, რაც ნიშნავს კლინიკებსა და სახელმწიფო სტრუქტურებთან დროში განელილ კომუნიკაციას. ხშირად უწევთ პაციენტების ფინანსური ხარჯების დაფარვა და საცხოვრებელი დახმარებაც, რაც მათთვის მძიმე ფინანსური ტვირთია. ერთ-ერთი რესპონდენტი, რომელიც აფხაზეთიდან ჩამოსულ პაციენტებს ინდივიდუალურად ეხმარება, ამბობს, რომ „ჩამოსული პაციენტები, რომლებსაც სახელმწიფო პროგრამით უნდათ სარგებლობა, როგორც წესი, უკიდურესად გაჭირვებულები არიან. ვისაც საშუალება აქვს, ან რუსეთში მიდის, ან თავად ფარავს ხარჯებს. როდესაც დახმარებისათვის მომმართავენ, ყოველ ჯერზე მინევს ქუთაისიდან თბილისში სამინისტროებში სირბილი, საცხოვრებლის მოძებნა. ხან რომელ ნათესავთან ვაჩქრებ, ხან რომელთან. ამაზე უამრავი დრო და ენერჯია მიდის... უკვე დავიღალე...და ამიტომ, ბოლო დროს უარს ვეუბნები დახმარებაზე“. მეორე რესპონდენტს სესხის აღებაც კი მოუხდა ნაცნობი აფხაზი პაციენტის დასახმარებლად¹¹.

ის პირები, რომლებიც პირადად ველარ ახერხებენ დახმარებას, პაციენტებს არასამთავრობო ორგანიზაციებთან ამისამართებენ. თუმცა, არც ამ ორგანიზაციების პროექტების მუდმივობაა გარანტირებული. როგორც ერთ-ერთი ორგანიზაციის წარმომადგენელი აღნიშნავს, „რეფერალური ჯანდაცვის პროგრამა ისე უნდა იყოს სისტემატიზებული, რომ ჩვენ – შუამავლები – გამოვეთიშოთ ამ პროცესს და იგი სახელმწიფოსა და პაციენტს შორის წარიმართოს“¹².

წარმატებული მაგალითები

პროგრამის განხორციელებაში არსებული სირთულეების მიუხედავად, კვლევისას გამოვლინდა რამდენიმე წარმატებული მაგალითი, როცა მნიშვნელოვნად მცირდება პრობლემების რაოდენობა და პაციენტს საშუალება აქვს აღივსოს, დაუბრკოლებლად მიიღოს საჭირო სამედიცინო მომსახურება. ეს მაგალითები შესაძლებელია სამ მოდელად ჩამოვაცალბოთ:

ა. მედი-ქლაზ ჯორჯიას მოდელი:

მედი-ქლაზ ჯორჯია არის კერძო სამედიცინო დაწესებულება, რომელსაც ხშირად აკითხავენ აფხაზი პაციენტები. კლინიკას 2010 წლიდან შემუშავებული აქვს შემდეგი მიდგომა: ყოველგვარი ბიუროკრატიული მოთხოვნების გარეშე ხდება პაციენტის მიღება და პირველადი შემოწმება. კლინიკის მენეჯმენტის განცხადებით, ისინი ფლობენ ინფორმაციას იმ კრიტერიუმების შესახებ, რომლის მიხედვითაც უნდა მიიღონ პაციენტი (მაგ. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ფინანსური ლიმიტი და ა.შ.). პირველადი შეფასების შემდეგ, კლინიკის მენეჯმენტი აკეთებს კალკულაციას სავარაუდო ხარჯების შესახებ, უკავშირდება რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს და აწვდის ინფორმაციას პაციენტისა და სავარაუდო ხარჯების შესახებ. სამინისტროდან ზეპირი თანხმობის მიღების შემდეგ პაციენტს უტარდება ყველა საჭირო მკურნალობა. ამავდროულად, პაციენტის თანხმობა პირი ინყებს ყველა საჭირო პროცედურის გავლას პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად. ამრიგად, კლინიკა თავის თავზე იღებს პირველადი პროცედურების მოგვარებას, რითაც შესაძლებელი ხდება პაციენტისათვის დროული სამედიცინო მომსახურების აღმოჩენა.

ბ. სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის მოდელი

სამხრეთ ოსეთიდან გადმოსული პაციენტები განსხვავებული სისტემით სარგებლობენ. სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის განცხადებით, პაციენტების ორი ჯგუფი არსებობს. ისინი, ვინც დამოუკიდებლად ჩამოდიან ზემო ლარსის გამშვები პუნქტის გავლით და არ სურთ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობა

¹¹ ავტორების ინტერვიუები.

¹² ავტორების ინტერვიუ.

და მეორე ჯგუფი, რომელთაც სურთ რეფერალურ პროგრამაში მონაწილეობა და გადმოდის ან წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის (წითელი ჯვარი) მეშვეობით, ან ზემო ლარსის გამშვები პუნქტიდან. მეორე ჯგუფი, როგორც წესი, პირადად ეკონტაქტება ადმინისტრაციის წარმომადგენლებს დახმარების მისაღებად. ასევე იქცევა წითელი ჯვარიც, რადგან მათი ფუნქცია მხოლოდ ტრანსპორტირების უზრუნველყოფაა. მკურნალობის პერიოდში ადმინისტრაციის თანამშრომლები პაციენტებთან მუდმივ კავშირზე არიან. ისინი იღებენ პასუხისმგებლობას, დაუკავშირდნენ შესაბამის კლინიკებს, რათა დაიწყოს დროული მკურნალობა, აგვარებენ ყველა საჭირო პროცედურას პაციენტის რეფერალურ პროგრამაში ჩასასმელად და ეხმარებიან სხვა დანარჩენი საკითხების მოგვარებაში. ამის გარდა, საცხოვრებელი პრობლემის აღმოსაფხვრელად ადმინისტრაციამ, თავისი ბიუჯეტიდან იქირავა ოროთახიანი ბინა, რაც, მათი განცხადებით, სავსებით საკმარისია ამ ეტაპზე. თუმცა, ამ მოდელის დაბრკოლება ისაა, რომ ოსმა პაციენტებმა, შესაძლოა, თავი შეიკავონ სამხრეთ ოსეთის დროებით ადმინისტრაციასთან ურთიერთობისაგან, რათა თავი საფრთხეში არ ჩაიგდონ უკან დაბრუნების შემდეგ.

აღსანიშნავია, რომ 2013 წელს, სამხრეთ ოსეთიდან გადმოსული პაციენტების რაოდენობამ იმატა. თუ 2012 წელს მათი რიცხვი 77 იყო, 2013 წლის პირველ ნახევარში 107-მა ოსმა მოქალაქემ ისარგებლა ჯანდაცვის რეფერალური პროგრამით¹³.

ბ. არასამთავრობო საქტორის მოდელი

რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია ახორციელებს ჯანდაცვის პროექტს, რომლებიც უცხოური დონორების ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება და მიმართულია კონფლიქტებით გახლეჩილ საზოგადოებებს შორის წდობის აღდგენისაკენ¹⁴.

ეს პროექტები გულისხმობს აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან გადმოსული პაციენტებისათვის დახმარებას და დაკვალიანებას. გეგმიური პაციენტებისათვის ორგანიზაცია ფარავს ტრანსპორტირების (სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანა), ექიმთან კონსულტაციის

და გამოკვლევების ხარჯებს, ასევე, ხდება საცხოვრებელი და მედიკამენტებით უზრუნველყოფა. ორგანიზაცია ეხმარება პაციენტებს საჯარო სტრუქტურებსა და კლინიკებთან ურთიერთობაში და საჭირო პროცედურების გავლაში. შეიძლება ითქვას, რომ პროგრამაში მონაწილე პაციენტების უმეტესი ნაწილი სწორედ არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით სარგებლობს. მიუხედავად ამ მოდელის ეფექტურობისა და წარმატებისა, მას შეიძლება ფინანსური საფრთხე დაემუქროს დონორთა დაინტერესების არარსებობის შემთხვევაში.

ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების პრობლემა

ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემა, რომელიც გამოიკვეთა რეფერალურ პროგრამასთან დაკავშირებით არის ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების მქონე პირების საკითხი (ძირითადად გალის, ოჩამჩირის და ახალგორის რაიონში მცხოვრები მოქალაქეები). რეფერალური პროგრამის კრიტერიუმების მიხედვით, ისინი ამ პროგრამით ვერ ისარგებლებენ. თუმცა, 2012 წელს სახელმწიფო, აფხაზური და ოსური პასპორტისა და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გაცემული საცხოვრებელი ადგილის დამადასტურებელი ცნობის საფუძველზე მაინც უფინანსებდა სამედიცინო მომსახურებას ისევე, როგორც აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის სხვა მკვიდრთ. 2013 წლიდან ხელისუფლებამ გაამკაცრა კრიტერიუმების მოთხოვნები და გალში, ოჩამჩირესა და ახალგორში დარჩენილი, უმეტესწილად ქართველი მოსახლეობა რეფერალური პროგრამით ვეღარ სარგებლობს.

მართალია, ისინი, როგორც საქართველოს მოქალაქეები, ავტომატურად ხვდებიან საყოველთაო დაზღვევის პროგრამაში, რომელიც 2013 წლის 1 მარტიდან ამოქმედდა, თუმცა, აღსანიშნავია, რომ, რეფერალური პროგრამისგან განსხვავებით, საყოველთაო დაზღვევა მკურნალობის სრულ დაფინანსებას არ გულისხმობს.

ასეთი მიდგომა ორ ძირითად პრობლემას უქმნის ამ რაიონების მოსახლეობას. პირველი, რომ, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სხვა რაიონებთან შედარებით, გალში, ოჩამჩირესა და ახალგორში უფრო მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონია, რასაც ემატება დე ფაქტო ხელისუ-

¹³ ავტორების ინტერვიუ.

¹⁴ მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია, მშვიდობისა და რეინტეგრაციის რეგიონული ქსელი, საქველმოქმედო-ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი“ და სხვ.

ფლებების მხრიდან მიზანმიმართული დისკრიმინაცია და მარგინალიზაცია ეთნიკურ ნიადაგზე. გალის რაიონში კლინიკები და ამბულატორიები სავალალო მდგომარეობაშია, კვალიფიციური ექიმების სიმცირეს განიცდის და მხოლოდ პირველადი სამედიცინო მომსახურების განევა შეუძლიათ. ახალგორშიც ანალოგიური სიტუაციაა. მიუხედავად იმისა, რომ დაბა ახალგორში გარემონტდა საავადმყოფო, პრობლემად რჩება აღჭურვილობა და კვალიფიციური მედპერსონალი. ექიმები ძირითადად წეროვანის ჩასახლებიდან დადიან კვირაში 2-3-ჯერ რამდენიმე საათით. სოფლებში თითქმის არ არსებობს სამედიცინო პუნქტები. მიუხედავად იმისა, რომ სამედიცინო პერსონალი თბილისიდან ფინანსდება, ხელისუფლება ვერ ახორციელებს მათ კონტროლს და მენეჯმენტს. შესაბამისად, რეფერალურ პროგრამაში მონაწილეობა ამ რაიონების მცხოვრებთათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო და მათ მძიმე ცხოვრებას უმსუბუქებდა.

მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემაა ის, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები აფხაზთა და ოსთა შემორიგების მცდელობისას, იქ დარჩენილ ქართველებს საქართველოს სახელმწიფოსადმი ნდობა დაეკარგათ და უსამართლობის განცდა გაუჩნდათ. მათთვის გაუგებარია რატომ ვერ იღებენ იმავე მომსახურებას, რასაც ეთნიკურად აფხაზები და ოსები.

აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში დარჩენილ ქართველებს უამრავი წინააღმდეგობის გადალახვა უნევთ იმისათვის, რომ შეინარჩუნონ საქართველოს მოქალაქეობა. „უძიმეს მდგომარეობაში ვიმყოფებით“ – ამბობს გალის მკვიდრი – „და მიუხედავად ყველაფრისა, ყველა ღონეს ვხმარობთ ქართველობის შესანარჩუნებლად. საქართველო კი გვიბიძგებს, უარი ვთქვათ საქართველოს მოქალაქეობაზე [იგულისხმება რეფერალური პროგრამის კრიტერიუმები]. როგორც ჩანს, მაინცდამაინც აფხაზებად უნდა ჩავენეროთ, რომ ჩვენც მოგვაქციონ ყურადღება“¹⁵.

ასეთი მიდგომა უარყოფით დამოკიდებულებას იწვევს ეთნიკურად აფხაზ მოსახლეობაშიც, რომელთათვისაც აშკარა ხდება, რომ რეფერალური პროგრამა ჰუმანიტარულ მიზანს კი არ ემსახურება, არამედ პოლიტიკური ინსტრუმენტია. ისინი ხედავენ, რომ საქართველოს მოქალაქეობას სულაც არ მოაქვს უფრო მეტი სიკეთეები ვიდრე აფხაზურ ან რუსულ მოქალაქეობას.

მდგომარეობას კიდევ უფრო ამწვავებს იმის მუდმივი შიში, რომ ადმინისტრაციული საზღვრები ჩაიკეტება. გამკაცრდა ენგურის ხიდზე მიმოსვლა. 8-9 თვეა რუსი მესაზღვრეები სასწრაფო დახმარების მანქანას გალიდან ზუგდიდის მიმართულებით აღარ ატარებენ. ხიდზე მიმოსვლა დაშვებულია 07:00-დან 19:00 სთ-მდე, შესაბამისად, სხვა დროს, რაც არ უნდა მძიმე შემთხვევა იყოს, გამონაკლისს არ უშვებენ. აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე დაფიქსირდა რამდენიმე ფატალური შემთხვევა იმის გამო, რომ რუსმა მესაზღვრეებმა პაციენტები დროულად ან საერთოდ არ გამოატარეს.

კვლევისას ავტორები ისეთ მაგალითსაც შეესწრნენ, როდესაც სამკურნალოდ ჩამოსული დედა-შვილი განსხვავებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. საქართველოს მოქალაქეობის მქონე ოჩამჩირელ დედას მკურნალობის მნიშვნელოვანი ნაწილის დაფარვა თავად მოუხდა საყოველთაო პროგრამის ფარგლებში, ხოლო, სოხუმში მცხოვრები აფხაზეთის მოქალაქეობის მქონე შვილი კი სახელმწიფომ სრულად დააფინანსა რეფერალური პროგრამის ფარგლებში.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეების გათანაბრებას საქართველოს დანარჩენ მოქალაქეებთან მცდარ გადანყვეტილებად აფასებენ კონფლიქტის საკითხებზე მომუშავე ექსპერტები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები¹⁶.

დასკვნა და რეკომენდაციები

გამომდინარე იქიდან, რომ ჯანდაცვის პროგრამა აფხაზებსა და ოსებთან ნდობის აღდგენის თვალსაზრისით ყველაზე წარმატებული აღმოჩნდა, ეს მიმართულება საქართველოს სტაბილურობისა და მშვიდობისათვის სტრატეგიული მნიშვნელობისაა. იმისათვის, რომ რეფერალურმა პროგრამამ უფრო ეფექტურად იმუშაოს, საჭიროა პაციენტმა მიიღოს დროული სამედიცინო მომსახურება, შესაძლებელი გახდეს „შუამავალთა“ ფუნქციების შემცირება და მოხდეს მთლიანი პროცესის ინსტიტუციონალიზაცია. ამის გარდა, პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს რეფერალურ პროგრამაში იმ მოსახლეობის მონაწილეობას, რომლებიც საცხოვრებლად ოკუპირებულ ტერიტორიებზე რჩებიან და ამასთანავე ინარჩუნებენ საქართველოს მოქალაქეობას. შესაბამისად, ამ საკითხზე პოლიტი-

¹⁵ ავტორთა ინტერვიუ.

¹⁶ ავტორთა ინტერვიუ.

კური გადაწყვეტილება უნდა იყოს მიღებული. გაუმართლებელია აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების გათანაბრება საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეებთან.

ამ საკითხების გადასაჭრელად საჭიროა შემდეგი ზომების მიღება

ა. რეფერალური პროგრამის მექანიზმის დახვეწა

- უწყებათაშორისმა კომისიამ მიერ დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს უმოკლეს დროში. სასურველია მაქსიმუმ 3 სამუშაო დღეს. პარალელურად, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ უნდა განახორციელოს კლინიკებიდან წარმოდგენილი კალკულაციებისა და პაციენტისათვის ჯანდაცვის მომსახურების ხარისხის მონიტორინგი.

- რეფერალური პროგრამის ფარგლებში უნდა დაიხვეწოს პაციენტისათვის დიაგნოსტიკის ხარჯების ანაზღაურების მექანიზმი.

ბ. ინფორმირებულობის გაზრდა პაციენტებისა და კლინიკებისათვის

- შეიქმნას საინფორმაციო ცენტრი ზუგდიდში, რომელშიც კოორდინირებულად იმუშავებენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეგიონული წარმომადგენლები, რომლებიც დააკვალიანებენ პაციენტებს პროცედურებში და შუამდგომლობას გაუწევენ შესაფერის კლინიკებთან. შესაძლებელია მოქმედებდეს ცხელი ხაზიც, რომლითაც პაციენტი მიიღებს დახმარებას ჩამოსვლამდე ან ჩამოსვლის შემდეგ.

- რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა კიდევ ერთხელ უნდა გააცნოს კლინიკებისა და საავადმყოფოების მენეჯმენტს სახელმწიფოს პროგრამა და შესთავაზოს, დაწერონ მედი-ქლაბ ჯორჯიას პრაქტიკა. სასურველია, საავადმყოფოებში იყოს საკონტაქტო პირი, რომელიც თავად მოაგვარებს სახელმწიფოსთან ურთიერთობას და ეს ტვირთი არ დაანება პაციენტს.

- შესაძლებელია საინფორმაციო ბროშურის მომზადება, რომელიც აიტვირთება შესაბამისი სახელმწიფო უწყებების და არასამთავ-

რობო ორგანიზაციების ვებ-გვერდებზე. ამით, დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ექნებათ პირადად გაეცნონ პროცედურებს.

გ. საცხოვრავლი უზრუნველყოფა და ადგილზე დახმარება

- სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის მსგავსად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამაც უნდა უზრუნველყოს საცხოვრებელი პაციენტისა და თანმხლები პირებისათვის.

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თანამშრომლები უფრო მეტად უნდა ჩაერთონ აფხაზ პაციენტებთან ურთიერთობაში (შესაძლებელია, როგორც სოციალური მუშაკები) და მკურნალობის პერიოდში დახმარება გაუწიონ ადგილზე ორიენტირებაში, ნათესავების მოძებნაში, ენობრივი ბარიერის გადალახვაში და ა.შ.

დ. პროექტების დაფინანსების გაზრდა

- საქართველოს მთავრობამ დას შესაბამისმა სახელმწიფო ორგანიზაციებმა უნდა დააფინანსონ და ხელი შეუწყონ მშვიდობისა და ნდობის აღდგენისაკენ მიმართული სამოქალაქო პროექტებს (მათ შორის ჯანდაცვის პროექტებს), როგორც ეს ხდებოდა 2010-2012 წლებში. ამით, ჯანდაცვის პროექტების განხორციელება უცხოელ დონორებზე დამოკიდებული აღარ იქნება, და, ამავდროულად, მოხდება ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების ნახალისება მშვიდობის მშენებლობაში.

ე. ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისათვის განსხვავებული მიდგომის უზრუნველყოფა

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქე პაციენტები ჩართული უნდა იყვნენ რეფერალურ პროგრამაში, თუ ისინი წარმომადგენენ დამადასტურებელ საბუთს, რომ მუდმივად ცხოვრობენ ოკუპირებულ რეგიონებში. აღნიშნულ პროგრამაზე მოსახლეობის ინფორმირება და დაკვალიანება უნდა განახორციელოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციამ.

- საქართველოს მთავრობის 2010 წლის №331 დადგენილებაში უნდა შევიდეს ცვლილება, რომელიც დაადგენს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეობის მქონე პირების მიერ რეფერალური პროგრამით სარგებლობის შესაძლებლობას.

- ხელისუფლების შესაბამისმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ გალის და ახალგორის რაიონისა და ზუგდიდის დევნილთა პოლიკნინიკების ექიმების ინფორმირება ჯანდაცვის მიმ-

დინარე და დაგეგმილი პროგრამების შესახებ, განსაკუთრებით რეფერალური პროგრამის შესახებ. ასევე, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ექიმების მუდმივი კონტაქტი ზუგდიდის საინფორმაციო ცენტრთან და იქ მომუშავე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეგიონულ წარმომადგენლებთან.

The project is implemented in the framework of The East-West Management Institute's (EWMI) Policy, Advocacy, and Civil Society Development in Georgia (G-PAC) Program, funded by United States Agency for International Development (USAID).

The publication is made possible by the generous support of the American people through the USAID.



USAID | **GEORGIA**
FROM THE AMERICAN PEOPLE

E A S T • W E S T
M A N A G E M E N T
I N S T I T U T E

Policy, Advocacy, and Civil Society Development in Georgia (G-PAC)

საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების
განვითარება საქართველოში

CONTENTS

INTRODUCTION	15
OVERVIEW OF THE REFERRAL PROGRAM AND ASSOCIATED PROBLEMS	16
A. Brief description of the program	16
B. Problems in administering the referral program.....	16
SUCCESS STORIES	17
A. The MediClubGeorgia model.....	17
B. The model of the Interim Administration of South Ossetia	17
C. Non-governmental sector	17
PROBLEMS OF GEORGIAN CITIZENS RESIDING IN THE OCCUPIED REGIONS.....	17
CONCLUSIONS AND RECOMMENDATIONS	18

INTRODUCTION

Internal ethnic conflicts in Georgia have resulted in the expulsion of almost the entire ethnic Georgian population from the regions of Abkhazia and the South Ossetia, whilst closed borders has led to the severing of kinship and friendship ties. Despite numerous attempts, resolution of these conflicts has been hampered by mistrust between, and estrangement of divided societies.

To help restore confidence between people on both sides of the dividing line and promote people-to-people interactions, the government of Georgia developed a state strategy towards the occupied territories in 2010.¹ Among the areas covered by this strategy, the health care element proved to be the most successful.

